INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION

IDFI

საქართველოს საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო (ინტერნეტ) რესურსების მონიტორინგი - 2011

კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდის (www.mra.gov.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 09 სექტემბერი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

www.mra.gov.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
52,17%
68,75%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
61,11%
74,91%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
60,00%
29,00%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
37,04%
27,00%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
43,48%
55,50%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
29,17%
41,21%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
0,00%
0,00%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
0,00%
0,00%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
12,50%
20,00%
0,00%
20,00%
40,00%
60,00%
80,00%

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

1. სამინისტროს ვებ-გვერდზე არსებულ ქვე-განყოფილებაში - ,,მინისტრი" სასურველია მოიძიებოდეს მინისტრის კომპეტენციის აღწერა და მინისტრის საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ-ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები:

კობა სუბელიანი

მინისტრი

კობა სუბელიანი დაიბადა 1978 წლის 3 ოქტომბერს.

1995 წელს ჩაირიცხა და 1999 წელს დაამთავრა ქ. თბილისის სასულიერო სემინარია. იმავე 1999 წელს ჩაირიცხა ქ. თბილისის სასულიერო აკადემიაში, რომელიც 2004 წელს დაამთავრა.

1998-2004 წლებში მუშაობდა საქართველოს საპატრიარქოს სხვადასხვა განყოფილებებში.

1994 წლიდან იყო საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის სტიქაროსანი.

2004 წლის ოქტომბრიდან 2005 წლის მაისამდე მუშაობდა სამეგრელო - ზემო სვანეთში პრეზიდენტის რწმუნებულის ფონდის აღმასრულებელ დირექტორად.

2005 წლის მაისიდან 2005 წლის აგვისტომდე მუშაობდა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსად.

2005 წლის აგვისტოდან 2007 წლის ნოემბრამდე მუშაობდა თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსად.

2007 წლის ნოემბერიდან დაინიშნა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრად.

2008 წლის აპრილში გახდა საქართველოს პარლამენტის წევრი.

2008 წლის ნოემბერიდან დაინიშნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მინისტრად.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

2. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად მინისტრს ჰყავს პირველი მოადგილე და ოთხი მოადგილე. ქვე-განყოფილებაში სათაურად „მინისტრის მოადგილეები" მოყვანილია ინფორმაცია მხოლოდ სამი მოადგილის შესახებ. ინფორმაცია მინისტრის მეოთხე და მეხუთე მოადგილის შესახებ ვებ-გვერდზე არ მოიძიება. ამასთან, სასურველია ქვე-განყოფილებას დაემატოს ინფორმაცია ამ მოადგილეთა შესახებ, რომელთა ბმულზეც გადასვლისას, იმ შემთხვევაში, თუ თანამდებობა ვაკანტურია მოყვანილი იქნება შემდეგი ინფორმაცია: ,,თანამდებობა დაკავებული არ არის", ,,მოადგილე ჯერ არ დანიშნულა" ან *მისთ.*

ხსენებულ ქვე-განყოფილებაში აგრეთვე სასურველია მოიძიებოდეს მინისტრის ყველა მოადგილის კომპეტენციის აღწერა და მათი საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ-ფოსტები, მისაღებების (თანაშემწეთა) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები:

მინისტრის მოადგილეები

მინისტრის პირველი მოადგილე

- თამარ მარტიაშვილი

მინისტრის მოადგილე

- ანდრია ქულუხაძე

მინისტრის მოადგილე

- გიორგი გამსახურდია

ქვე-განყოფილებაში აგრეთვე არ მოიძიება მინისტრის ერთ-ერთი მოადგილის ფოტოსურათი:

No Image Available

ggamsakhurdia@pol.ge

გიორგი გამსახურდია

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, მინისტრის მოადგილე

დაბადების თარიღი: 10 მაისი, 1979
დაბადების ადგილი: თბილისი, საქართველო
ოჯახური მდგომარეობა: დასაოჯახებელი
სამხედრო ჩინი: პოლკოვნიკი

განათლება:
1985 – 1994 ქ. გროზნო, შეიხ მანსურის სახ. საშუალო განათლების სკოლა #1
1994 – 1999 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტი, საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი, სპეციალობა საერთაშორისო სამართალი, კვალიფიკაცია-იურისტი.
სამუშაო გამოცდილება:
1996-1997 ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერია, პოლიტიკური პარტიებისა და მოძრაობების საკოორდინაციო საბჭოს (КСПД) წევრი
1997–1998 ჩეჩნეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო ქ. გროზნო, შინაგან საქმეთა მთავარ სამმართველოს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და სისხლის სამართლის სამმებრო სამსახურის უფროსი ინსპექტორი
1998-2007 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა უწყება
2007-2008 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე კრიმინალური პოლიციის ხაზით
2008-2010 დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი.
02.2011 - დღემდე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, მინისტრის მოადგილე.
ენები: ქართული (მშობლიური), ინგლისური (კარგად), რუსული და ჩეჩნური (სრულყოფილად).
კომპიუტერული პროგრამები: Windows 95/98/ME/2000 Professional/XP Professional/Vista; MS Office Word, Excel, Power Point; Internet and e-mail; Photoshop

3. სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა, ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა, აგრეთვე სამინისტროს ელ.ფოსტის მისამართი და სამინისტროს

სისტემის ერთიანი სარეკვიზიტო ცნობარი (სამინისტროს ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფის, მათ შემადგენლობაში არსებული შიდა სტრუქტურული ერთეულების (სამმართველოების ან განყოფილებების), სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების და სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტა, საფოსტო მისამართი და ფაქსის ნომრები):

4. სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დაფუძნების თარიღიდან მოყოლებული დეტალური საქმიანობის ისტორია და სამინისტროს მოქმედი დებულებით განსაზღვრული ფუნქციების, ამოცანების და უფლებამოსილებების დეტალური აღწერა:



სამინისტროს მისია

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო უზრუნველყოფს სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას ლტოლვილთა, თავშესაფრის მაძიებელთა, იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა, რეპატრიანტთა, სტიქიით დაზარალებულთა და სხვა მიგრანტთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის, მიგრაციის კონტროლისა და განსახლების სფეროში.

სამინისტროს ძირითადი ამოცანაა ლტოლვილთა, თავშესაფრის მაძიებელთა, დევნილთა, რეპატრიანტთა და საგანგებო სიტუაციებით (სტიქიური უბედურებები, ეპიდემია და სხვ.) გამოწვეული მიგრაციული ნაკადის დარეგულირება, დაზარალებულთა დროებითი ან მუდმივი განსახლება, მათი ადაპტირება-ინტეგრირებისთვის პირობების შექმნა და სოციალური დაცვა. თავისი კომპეტენციის ფარგლებში სამინისტრო შეიმუშავებს და წარმართავს ერთიან სახელმწიფო პოლიტიკას ზემოაღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საქმიანობა 'საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ' კანონის მე-17 მუხლის I პუნქტს ემყარება და კონტროლდება მთავრობის მიერ საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში.

განსაზღვრულ ადმინისტრაციულ ერთეულებში სამინისტროს ეფექტურ მუშაობას მის დაქვემდებარებში მყოფი ოთხი ტერიტორიული ორგანო უზრუნველყოფს.

- აჭარისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველო
- იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამმართველო
- ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთისა და კახეთის სამმართველო
- შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის სამმართველო

2009 წლის ბიუჯეტით განსაზღვრულია სამინისტროს შემდეგი პრიორიტეტები:

- დევნილთა ღირსეული და უსაფრთხო დაბრუნებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა
- დევნილთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება
- მიგრაციულ პროცესებთან დაკავშირებით ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და წარმართვა
- მუსლიმანი მესხების რეპატრიაციასთან დაკავშირებით 1999 წელს ევროპის საბჭოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულება

- **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

5. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სისტემის სტრუქტურულ ხეზე (განყოფილება „სამინისტროს შესახებ“, ქვე-განყოფილება „სტრუქტურა“) მოყვანილი ინფორმაცია ნაკლულია, არ არის მოცემული საზოგადოებასა და მასმედიასთან ურთიერთობის სამმართველოს სტრუქტურული ქვედანაყოფის - ცხელი ხაზის განყოფილების და საჯარო სამართლის იურიდიული პირის: იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა თემის განვითარების ცენტრის შესახებ ინფორმაციული ბლოკი. ამასთან, მინისტრის ორი მოადგილის შესახებ, საფინანსო ეკონომიკური სამმართველოს, სოციალურ საკითხთა სამმართველოსა და უძრავი ქონების რეგისტრაციის სამმართველოს ინფორმაციული ბლოკები არ იხსნებიან:


მინისტრი
მინისტრის მოადგილე
მინისტრის მოადგილე
მინისტრის მოადგილე
ფინანსო დეპარტამენტი
ადმინისტრაციული დეპარტამენტი
ტერიტორიული ორგანოები
ეკონომიკური სამმართველო
ბუნებრივი ზედამხედველობის სამმართველო
ადამიანური რესურსების სამმართველო
ლტოლვილთა და რეადმინისტრაციის სამმართველო
მიგრაციის სამმართველო
ინფორმაციის ტექნოლოგიების სამმართველო
ეკონომიკური ანალიზის, დაგეგმვისა და ანგარიშგების სამმართველო
ადამიანური რესურსების სამმართველო
ადმინისტრაციული საქმიანობის სამმართველო
ინფორმაციის ტექნოლოგიების სამმართველო
ფინანსური ანგარიშგების სამმართველო
ბიუჯეტის დაგეგმვა-ანალიზის სამმართველო
ბუღალტერია
ფინანსური ინფორმაციის ანალიზი
ფინანსური ინფორმაციის ანალიზი
ბიუჯეტის ანალიზი
ბიუჯეტის ანალიზი
ბიუჯეტ

- სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების ელექტრონული ფოსტის მისამართები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები.

- სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების შემდეგი საკონტაქტო რეკვიზიტები - მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები:

v.kopaleishvili@mra.gov.ge

ვალერიან კოპალეიშვილი

ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი

დაბადების თარიღი: 18 დეკემბერი, 1973
დაბადების ადგილი: თბილისი, საქართველო
ეროვნება: ქართველი
ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული
სამუშაო გამოცდილება:
2009 - დღემდე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლების და ლტოლვილთა სამინისტრო. ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი
2008 -2009 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო. მინისტრის მრჩეველი
2007 - 2008 გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი, დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის შემმუშავებელი სამთავრობო კომისიის სამდივნოს ხელმძღვანელი
2006 - 2007 გაეროს განვითარების პროგრამა, დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის შემმუშავებელი სამთავრობო კომისიის სამდივნოს ხელმძღვანელის მოადგილე
2005 - 2006 საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, საზღვაო ძალები, სამხედრო დაზვერვის სამმართველოს უფროსი
2003 - 2005 საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტი, ანალიტიკური სამმართველოს უფროსი
2000 - 2003 საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტი, სიტუაციური ცენტრი, მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე
1998 - 2000 საქართველოს უშიშროების სამინისტრო, კონტრდაზვერვის სამსახურის უფროსი ოფიცერი
სხვა საქმიანობა:

- საფინანსო დეპარტამენტის ტექნიკური ზედამხედველობის სამმართველოს უფროსის ფოტოსურათი:

No Image Available

n.davlianidze@mra.gov.ge

წუგზარ დავლიანიძე

საფინანსო დეპარტამენტის ტექნიკური ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი

დაბადების თარიღი: 23 მარტი, 1946 წელი
ოჯახური მდგომარეობა: ჰყავს ერთი შვილი და სამი შვილიშვილი
ენები: ქართული (მშობლიური), რუსული
კომპიუტერული პროგრამები: MS Word, Excel, Power Point, Internet, Email etc.

სამუშაო გამოცდილება:
01.09.1972 – 17.11.1980 მთავარ ბურღვ. გაზის თბილისის სამმართველო, სამუშაოს მწარმოებელი
01.12.1980. – 14.07.1989 საქართველოს მშენებლობის სამინისტროს გაშვება გამართვის სამმართველო, უბნის უფროსი
14.07.1989 – 20.01.1999 საქართველოს კურორტის რესპუბლიკური სამმართველო, სამმართველოს უფროსი
22.01.1999 - 03.01.2011 საბინაო მეურნეობის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე, კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროსი
განათლება:
1953 – 1964 თბილისის #1 საშუალო სკოლა
1964 – 1972 საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, კავშირგაბმულობის და ელექტრონიკის ფაკულტეტი

- უძრავი ქონების რესტიტუციის სამმართველოს უფროსის და სოციალურ საკითხთა სამმართველოს უფროსის მოადგილის ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, მათი კომპეტენციის აღწერა და საკონტაქტო რეკვიზიტები - სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები:

- სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა კომპეტენციის აღწერა.

7. სამინისტროს ვებ-გვერდზე სრულად არ არის მოცემული ინფორმაცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების შესახებ. კერძოდ, არ მოიძიება შემდეგი სახის ინფორმაცია:

- სამინისტროს ტერიტორიული დანაყოფების ხელმძღვანელების კომპეტენციის აღწერა და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

- სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საფოსტო მისამართები (საფოსტო ინდექსზე მითითებით) და შენობათა მდებარეობის აღმნიშვნელი შესაბამისი რუკები;

- სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების ელექტრონული ფოსტის მისამართები, საკონტაქტო ტელეფონისა და ფაქსის ნომრები.

➢ **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

8. სამინისტროს ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები: ტენდერებისა და ვაკანსიათა არქივი, ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, ერთიანი განყოფილება „პროგრამები“ და „სამართლებრივი აქტები“ („კანონმდებლობა“), სამინისტროს საქმიანობის ერთიანი წლიური და კვარტალური ანგარიშები, (ქვე-)განყოფილება „პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“ შესაბამისი ინფორმაციული შიგთავსით *და ა.შ.*

ვებ-გვერდზე განთავსებული ლტოლვილთა და დევნილთა სტატისტიკა მოცემულია 2011 წლის აპრილის მდგომარეობით, ხოლო ცხელ ხაზში შემოსული ზარების დეტალური ანგარიშის შესახებ უახლესი ინფორმაცია მოცემულია 2011 წლის მაისის მდგომარეობით:



ამასთან, ისეთ მნიშვნელოვან ინფორმაციულ ბმულებზე (ბანერებზე), როგორებიცაა „ცხელი ხაზი“, „მოქალაქეთა მისაღები ცენტრი“, „რეაბილიტირებული ობიექტები“, „სტატისტიკა“, „საპრეზიდენტო პროგრამა ჩემი სახლი“, „თემის განვითარების ცენტრი“ და „ახალი სახლი ახალი ცხოვრებისათვის“ წვდომა შესაძლებელია მხოლოდ მთავარ გვერდზე გადასვლით, რაც სირთულეს ქმნის მომხმარებელისათვის აღნიშნული ინფორმაციის მოძიების მხრივ:

9. სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება შემოსული/გასული კორესპონდენციის რეგისტრი, ამასთან მოცემულია ცხელ ხაზში შემოსული ზარების რეგისტრი, რაც შესაძლებელს ხდის აღნიშნული რეგისტრის გაფართოებას და მასზე სამინისტროში შესული/სამინისტროდან გასული დოკუმენტალური კორესპონდენციის ანგარიშების მიბმასაც.

- **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

10. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამინისტროს საქმიანობის ერთიანი ყოველწლიური ანგარიში და მიმდინარე კვარტალური მოხსენებები/ანგარიშები.

11. საჭიროა ვებ-გვერდზე განცალკევებულად არსებობდეს (ქვე-)განყოფილება „პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და სამინისტროს პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები.

12. სასურველია სამინისტროს ვებ-გვერდზე არსებობდეს ერთიანი (ქვე-)განყოფილება - „პროგრამები“, რომელიც მოიცავს იმ პროგრამების ჩამონათვალს, რომლის დამკვეთი, შემსრულებელი ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამინისტრო.

მოცემული (ქვე-) განყოფილება აგრეთვე უნდა მოიცავდეს პროგრამების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებათა შესახებ სრულ ცნობებსა და მათი შესრულების შესახებ (წლიურ) მოხსენებებს. ამასთან, მთავარ გვერდზე მოცემულია ბანერის სახით არსებული ერთადერთი პროგრამის - საპრეზიდენტო პროგრამის „ჩემი სახლი“ ვებ-გვერდზე გადასასვლელი ბმული:

- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

13. მართალია სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებულია საკმაოდ ვრცელი, თემატურად განთავსებული სამინისტროს საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების მონაცემთა ბაზა (დევნილთა, ლტოლვილთა, მიგრაციის და რეპატრიაციის საკითხები), თუმცა არ არსებობს ერთიანი განცალკევებული განყოფილება - ,,სამართლებრივი აქტები“. აღნიშნული განყოფილება სასურველია მოიცავდეს ოთხ ქვეგანყოფილებას - ,,საკანონმდებლო აქტები“, ..კანონქვემდებარე აქტები“ , ,,საერთაშორისო ხელშეკრულებები/კონვენციები“ და ,,სამართლებრივი აქტების პროექტები“:

- შესაქმნელი ქვე-განყოფილება ,,საკანონმდებლო აქტები“ სასურველია ვებ-გვერდზე განთავსებული აქტების გარდა მოიცავდეს აგრეთვე: საქართველოს კანონს - ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“, ,,საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ” საქართველოს კანონს, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონს;

- შესაქმნელი ქვე-განყოფილება ,,კანონქვემდებარე აქტები“ სასურველია ვებ-გვერდზე განთავსებული აქტების გარდა მოიცავდეს აგრეთვე: ,,საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2004 წლის 29 მაისის N43 აწ უკვე ძალადაკარგულ დადგენილებას;

- შესაქმნელი ქვე-განყოფილება - ,,სამართლებრივი აქტების პროექტები“ უპირველეს ყოვლისა სასურველია მოიცავდეს სამინისტროს დებულების მე-4 მუხლის, მე-2 პუნქტის, მ) ქვეპუნქტის თანახმად მინისტრის მიერ დადგენილი წესით საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობისათვის განსახილველად წარსადგენი სამართლებრივი აქტების პროექტებს.

აგრეთვე არ მოიძიება სამინისტროს მოქმედი შინაგანაწესი. აღნიშნული აქტი (საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის 2008 წლის 1 ივლისის N78 ბრძანებას ,,საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“) სასურველია განთავსდეს შესაქმნელ განცალკევებულ ქვე-განყოფილებაში სათაურად - „შინაგანაწესი“.

განყოფილებაში „სამინისტროს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „დეპარტამენტები“ არ მოიძიება დევნილთა საკითხების დეპარტამენტისა და მიგრაციის, რეპატრიაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტის დებულებები.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას**

14. სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა.

15. სამინისტროს ვებ-გვერდზე საერთოდ არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საქმიანობის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციის თავისუფლებასთან / საჯარო ინფორმაციის ღიაობასთან: ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და სამინისტროში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები. *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა საქართველოს პარლამენტიდან გამოითხოვა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საჯარო ინფორმაციის გაცემის წლიური ანგარიში, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*

http://www.opendata.ge/pdf_files/okupirebuli0001.pdf).

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

16. ვებ-გვერდზე არ არსებობს განყოფილება „ტენდერები", სადაც მოყვანილი იქნებოდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) შესახებ ინფორმაცია.

17. სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა სამინისტროსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე სამინისტროსა და სხვა საჯარო დაწესებულებებს შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

- **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

18. ვებ-გვერდზე არ არსებობს განყოფილება „ვაკანსიები", რომელშიც მოყვანილ იქნებოდა სამინისტროში ვაკანტურ თანამდებობათა და ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატისათვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესი, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (სამინისტროს მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ.

- **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

19. ფინანსური ხასიათის ინფორმაციიდან ვებ-გვერდზე წარმოდგენილია მხოლოდ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსათვის გამოყოფილი 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების შესახებ ინფორმაცია. ვებ-გვერდზე აგრეთვე უნდა მოიძიებოდეს შემდეგი სახის ინფორმაცია:

- სამინისტროს ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია;

- საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო განრიგი სამინისტროს კონკრეტულ საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია);

- სამინისტროს სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე);

- უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ სამინისტროსათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა;

- შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) სავარაუდო და ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამინისტრო;

- საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან სამინისტროსათვის გამოყოფილი თანხების ოდენობის შესახებ ინფორმაცია.

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
66,67%
2. ძიება
40,00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
47,06%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
50,00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
60,00%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0,00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
45,00%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
14,29%
9. ელექტრონული ჩართულობა
16,67%
10. ელექტრონული სერვისები
18,18%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0,00%
12. უსაფრთხოება
0,00%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
15,38%
0
0,1
0,2
0,3
0,4
0,5
0,6
0,7

- **ნავიგაცია**

ვებ-გვერდის რუკა არასათანადო ადგილზეა განთავსებული, რუკა უნდა იმყოფებოდეს ნაკლებად პრიორიტეტულ ადგილზე:

- **ძიება**

ძიების მოდულში პრიორიტეტად განსაზღვრულია ლათინური ფონტი, საჭიროა მისი ქართულით შეცვლა:

- **მარტივად აღქმის კრიტერიუმები**

ვებ-გვერდის მთავარი ფონტი საკმაოდ ცუდად გამოიყურება, რთულია მისი აღქმა და წაკითხვა:

ვებ-გვერდებში შეძლებისდაგვარად გამოყენებული უნდა იქნას Sylfaen-ის ან Glaho-ს ფონტი;

- **სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი**

მთავარ გვერდზე განთავსებული სურათები საკმაოდ დიდი ზომისა და მოცულობისაა, რის გამოც ვებ-გვერდი ნელდება და გვიანდება მისი ჩატვირთვა, მაგალითად შემდეგი სურათები:





ნებისმიერი სურათი უნდა იყოს დაპატარავებული შესაბამის ზომაზე, რომ მოხდეს ვებ-გვერდის სწრაფი ჩატვირთვა;

- **ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან**

ვებ-გვერდის სოლიალურ ქსელებში გაზიარების ფუნქცია გაუმართავია. მაგალითად თუ რომელიმე სიახლეს ვაზიარებთ Facebook-ში, რეალურად ვრცელდება არა ის გვერდი საიდანაც მოხდა გაზიარება, არამედ მისი განსხვავებული და არადაპტირებული ვერსია:



აღნიშნული ვერსია გამიზნული ბეჭვდისთვის და არა გაზიარებისთვის;

- **უსაფრთხოება**

ვებ-გვერდზე დაშვებულია მნიშვნელოვანი შეცდომა უსაფრთხოების კუთხით. ეს პროგრამული წუნი შეიძლება სახიფათო აღმოჩნდეს ვებ-გვერდისთვის. მისი გამოყენება შესაძლებელია როგორც ვებ-გვერდის დაზიანებისთვის, ასევე ვებ-გვერდიდან ნებისმიერი ინფორმაციის მოპოვებისთვის. ჩვენ სპეციალურად არ ვწერთ თუ სად არის დაშვებული შეცდომა, თუმცა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ტექნიკურ პირთა დაინტერესების შემთხვევაში მივაწვდით სრულ ანალიზს:

Error: You have an error in your SQL syntax; check the manual that corresponds to your MySQL server version for the right syntax to use near '\",content_title_GEO\", content_date,content_id FROM content WHERE content_id = ' at line 1

Ãć /var/www/virtual/mra.gov.ge/htdocs/module/fb_news.php, 2

- **დამატებითი პარამეტრები**

ვებ-გვერდის სისტემა არ იძლევა საძიებო სისტემებში მისი ინდექსაციისთვის:



ტესტირების შედეგად გამოვლიდა, რომ საძიებო სისტემებს დაინდექსებული აქვთ მხოლოდ ისეთი გვერდები, როგორიც არის: ვებ-გვერდის პირველი გვერდი, PDF ფაილები და სხვა. ხოლო ისეთი გვერდები, როგორიც არის სიახლეები, კითხვა-პასუხი და სხვა არ არის ინდექსირებული:

ასევე საძიებო სისტემებში შეიმჩნევა ძველი დაინდექსებული გვერდები, რომელიც გამოიყურება შემდეგნაირად:



ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ვებ-გვერდს ესაჭიროება მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. მისი შრიფტი და დარღვეული სტრუქტურა ცუდ შთაბეჭდილებას ტოვებს. ასევე უნდა აღინიშნოს, ის დეტალი, რომ ვებ-გვერდი არ არის ინდექსირებადი საძიებო სისტემაში, რაც ხელს უშლის ვებ-გვერდის ხელმისაწვდომობას, აქვს უსაფრთხოების პრობლემა, არასწორად არის გაკეთებული ელექტრონული რესურსის ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან და სხვა.